ოქმი:**ო05.37220661**

თარიღი:**07/03/2022**

ოქმი №5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 25 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

10.00-11.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ნიჟარაძე, მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ე.გორდელაძე, ხ.ცერცვაძე, გ.მდინარაძე, ნ.ნადირაშვილი, ლ.ბიგვავა, პ.სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა ქარჩავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

პ.კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო N60 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადმოგზავნილი მიმართვა თანდართულ მასალებთან ერთად და წარუდგინა დასკვნა საკრებულოს წევრის ნანა ქარჩავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ. კომისიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ.გ"ქვეპუნქტითა და კომისიის დებულებით მიიღო.

გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა ქარჩავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ".

2. დასკვნა წარედგინოს საკრებულოს უახლოეს სხდომას.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, რომლითაც საკრებულოს იმ წევრებისათვის, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის

საჭირო ხარჯების ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 680 ლარით.

აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა, ეროდი გორდელაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2019 წლიდან გაუქმებულია საბიუჯეტო ხარჯების ზღვრული ოდენობის ე.წ ჭერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ზღვრული ოდენობა, მაინც ძველებურად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი პირის თანამდებობრივი სარგოს 15,1 %-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ჩვენზე პატარა მუნიციპალიტეტებს 700-800 და 900 ლარიც აქვთ განსაზღვრული. კომისიის სხვა წევრებიც დაეთანხმნენ გორდელაძის მოსაზრებას და იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისას კვლავ დააყენებენ ხარჯების ზრდის საკითხს, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, შეიმუშავეს დადებითი დასკვნა.

კომისიამ მეორე საკითხთან დაკავშირებით მიიღო

გადაწყვეტილება:

1. მხარი დაუჭიროს განკარგულების პროექტს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2. დასკვნა წარედგინოს საკრებულოს უახლოეს სხდომას.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე